

თემთა მობილიზაცია. "ხალხი უპირველეს ყოვლისა"

West GCMI პროექტის თემთა მობილიზაციის გუნდი შედგება 12 თანამშრომლისგან. მათ გავლილი აქვთ თემთან მუშაობის სათანადო სწავლება, რომლის მიზანია დაეხმაროს თემს გამოავლინოს და შეაფასოს საკუთარი უნარ-ჩვევები, შესაძლებლობები, რომელთა გამოყენებითაც ის გაიუმჯობესებს გარეშე პირობებსა და ყოველდღიური ცხოვრების დონეს. ერთნაირად მნიშვნელოვანია თემისადმი გაწეული შემდეგი სახის დახმარება, იქნება ეს საკუთარი პოტენციალისა და არსებული რესურსების აღმოჩენა, თემისათვის აქტუალური პრობლემის განსაზღვრა, პრიორიტეტის მინიჭება თუ პრობლემის გადაწყვეტა.

დღემდე დადგინდა და მობილიზებულ იქნა 368 შეჭირვებული თემი დასავლეთ საქართველოს შემდეგ რეგიონებში: იმერეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. შეჭირვებული თემების შერჩევის კრიტერიუმები ითვალისწინებს თემის არახელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას, ეკონომიურ გაჭირვებას, სოციალური ჯგუფების შეჭირვებულობას და მოშლილ ძირითად ინფრასტრუქტურას. ამას გარდა, ყურადღება ექცევა იმას რომ უზრუნველყოფილ იქნეს თანასწორობა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებულად მოქმედება საქმიანობათა დუბლირების თავიდან ასაცილებლად. ამ რეგიონების თემთა წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ თემთა მობილიზაციის სესიებსა და სწავლებებში, რომლებსაც West GCMI-ის თემთა მობილიზაციის გუნდმა ჩაატარა.

რას აკეთებდა პროექტი :

- შეჭირვებულ თემთა თანამონაწილეობრივი განსაზღვრა,
- თანამონაწილეობრივი სწავლება და ინფორმაციის მოპოვება,
- სათემო ორგანიზაციის ჩამოყალიბება თემში,
- თემის ჯგუფების სწავლება, რომელიც შეეხება: პროექტის თანამონაწილეობრივი დაგეგმვის საკითხებს, საჭიროებათა გამოვლენასა და პრობლემათა გადაწყვეტას, პროექტის მონახაზს, განსახილველი პროექტის მომზადებასა და ძირითად ფინანსურ-ადმინისტრაციულ პროცედურებს,
- სათემო ორგანიზაციის შესაძლებლობათა გაძლიერება მიკროპროექტის მართვა-განხორციელებისათვის,
- სათემო ორგანიზაციებს შორის კავშირის ხელშეწყობა.

მოკლედ პროექტის შესახებ:

West GCMI-ის თემათა მობილიზაციის ოფიცრები ეხმარებიან თემს ყოველივე ზემოთქმულში, რათა მან განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები, დაგეგმოს და მართოს მიკროპროექტების განხორციელება. მობილიზატორები ეხმარებიან თემს სამოქმედო გეგმების განვითარებაში და განხორციელებული მიკროპროექტის წარმატებული შედეგის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებაში.

West GCMI ხელს უწყობს და აფინანსებს მრავალ სხვადასხვა ტიპის მიკროპროექტს, ისეთებს, როგორცაა: ინფრასტრუქტურის შეკეთება, სოციალური მომსახურების გაფართოება (სკოლები, ჯანდაცვის დაწესებულებები), გზებისა და ხიდების, წყლისა და სარწყავი სისტემების შეკეთება და ელექტროსისტემების რეაბილიტაცია. ნებისმიერი მიკროპროექტი ხორციელდება თემის მიერ არჩეულ და პრიორიტეტულად მიჩნეულ სფეროში.

თემები არა მარტო განსაზღვრავენ პრობლემებს, ადგენენ მათთვის უპირატესად მნიშვნელოვანს და შესაბამისად ახორციელებენ პროექტს, არამედ მათ ასევე შეაქვთ უფასო წვლილი (წვლილის გაღება ანაზღაურების გარეშე) პროექტის საერთო ღირებულებაში. თემის ეს წვლილი სხვადასხვა ფორმით შეიძლება იქნეს გაღებული, მაგალითად, მუშახელით, საშენი მასალით, საწყობების გამოყოფით, ან სხვა სახის მომსახურებით. თემს წაყენებული პირობებით პროექტის მთელი ღირებულების 25%-ის დაფარვა ევალება, ბევრი თემის წვლილი კი ეფექტური თემათა მობილიზაციის პროცესისა და ერთობლივი მუშაობის შედეგად გაცილებით მაღალია.